სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №240

(cpv 45300000)

ქ. მცხეთა „ 24 " დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გაერთიანების დირექტორის მოადგილე ირინე მამიაურის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ბადრი სოლოღაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმომადგენლის ბადრი სოლოღაშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მუხრანის #2 საბავშვო ბაგა-ბაღში გაზის უსაფრთხო მიწოდება - მოხმარებისათვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება.

1.2ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 666.18(ექვსასსამოცდაექვსი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება

2.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 15 თებერვლამდე.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შესრულებული სამუშაოს აქტის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია, მიაწოდოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5.2. „შემსყიდველი" ვალდებულია, უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს, დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. „მიმწოდებლის" მხრიდან ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს, განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის".

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხიმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1. .გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონიდს მე-8 მუხლს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

11.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.3. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.4. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ა(ა)იპთვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებათა გაერთიანება
ა/ა **GE69LB0115130765494000**
ბ/კ **LBRTGE22** ს/კ 436036273
ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი
დირექტორის მოადგილე _____ ი.მამიაური

„მიმწოდებელი"
ინდ. მეწარმე ბადრი სოლოღაშვილი
მისამართი: მცხეთა, სოფ. ძეგვი
ტელ: 593345227
მომსახურე ბანკი: ს.ს. საქართველოს ბანკი
ა/ა GE79BG0000000560212800
ბ/კBAGAGE22
ს/კ31001028258
ი/მ _____ ბ. სოლოღაშვილი